მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი № 10

ქ.მარტვილი 02 სექტემბერი, 2022 წელი

სხდომა დაიწყო 12 ⁰⁰ საათზე, დამთავრდა 14⁰⁰ საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: ელდარი თოდუა, ალექსანდრე გრიგალავა, კობა დარჯანია, კახაბერ ჯგერენაია, ზურაბ მელიავა, შალვა ბახია, ელიზბარ ახვლედიანი, ლაშა ქობალია, ნათია ბჟალავა, შალვა თაფლაძე, გიორგი ჯიჯელავა.
სხდომას ასევე ესწრებოდნენ; საკრებულოს აპარატის თანამშრომლები და სხვა დაინტერესებული პირები.
სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ელდარი თოდუა.

დღის წესრიგი:

1. მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურენო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს ,,საქართველოს ფოსტისთვის" ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
/მომხსენებელი-ელდარი თოდუა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ./
2. ,,მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;
/მომხსენებელი-ელდარი თოდუა, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ/

3. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.

/მომხსენებელი-ელდარი თოდუა მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს11–მა წევრმა.

მოისმინეს1. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ–ის ელდარი თოდუას მოხსენება მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურენო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს ,,საქართველოს ფოსტისთვის" ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ;
მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ 2022 წლის 8 ივნისს წერილით მოგვმართა შპს ,,საქართველოს ფოსტა"–ს წარმომადგენელმა რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ს.კ 41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით შპს ,,საქართველოს ფოსტისთვის" გადაცემას და ბიუროს წევრებს სთხოვა აზრი გამოეთქვათ აღნიშნულთან დაკავშირებით.
აზრი გამოთქვეს: კობა დარჯანიამ აღნიშნა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით მას გააჩნია გარკვეული კითხვები რომელსაც დასვამს საკრებულოს სხდომაზე.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 11–მა წევრმა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 11, წინააღმდეგი 0.
ბიურომ გადაწყვიტა: მარტვილის მუნიციპალიტეტში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურენო დანიშნულების ს/კ:41.09.37.559 მიწის ნაკვეთიდან 17კვ.მ. მიწის ნაკვეთის ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობად, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული

ბიუროს დასკვნით წარმოდგენილი თანხის (2400 ლარი) 45%-ის ოდენობით განსაზღვრაზე და ზემოაღნიშნული ქონების (17 კვ.მ. ფართის) პირდაპირი განკარგვის წესით, ხუთი წლის ვადით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, შპს „საქართველოს ფოსტისთვის" ს.ნ:203836233 გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მოისმინეს 2. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ–ის ელდარი თოდუას მოხსენება „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ მუნიციპალიტეტებს გამოუყო 20 619 900 ლარი, კერძოდ: მარტვილის მუნიციპალიტეტს არა უმეტეს 995 000 ლარისა, და წარადგინა სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების თაობაზე განხორციელებული პროექტების შესახებ ინფორმაცია და ბიუროს წევრებს სთხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 11–მა წევრმა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 11 წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 ნოემბრის №12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

მოისმინეს 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ–ის ელდარი თოდუას მოხსენება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ.

მომხსენებელმა ბიუროს წევრებს განუმარტა, რომ კორექტირება ხდება პროექტების გარკვეულ ნაწილში და წარადგინა პროექტების შეთანხმების ცხრილი და იქვე დასძინა რომ ცვლილების შედეგად არ იცვლებოდა თანხის საბოლოო მოცულობა და ბიუროს წევრებს სთხოვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოეთქვათ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აზრი არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს სთხოვა საკითხების წინ გაევლოთ რეგისტრაცია.

რეგისტრაცია გაიარა ბიუროს 11–მა წევრმა.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე 11 წინააღმდეგი 0.

ბიურომ გადაწყვიტა: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მარტვილის მუნიციპალიტეტში შესასრულებელი სამუშაოების კოექტირებული ნუსხის მოწონების შესახებ საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს დღის წესრიგის პროექტში.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ელდარი თოდუა